

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება – *ისტორია*
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – *ისტორიის მაგისტრი*
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი;
4. სწავლების ენა – ქართული
5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები
 - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **ზურაბ პაპასქირი**;
 - ისტორიის დოქტორი, ასოც. პროფესორი **ლია ახალაძე**;
 - ისტორიის დოქტორი, ასოც. პროფესორი **კახაბერ ფიფია**
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
 - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
 - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ, სოციალურ, პოლიტიკურ, განათლების, სამართლის მეცნიერებების დარგში;
 - შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო დისციპლინა - **ისტორია**).

(საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=856)

 - გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში (**ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული - B2 დონე**);
 - უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი. უძველესი დროიდანვე კაცობრიობის ინტელექტუალური მოთხოვნილებაა საკუთარი წარსულის შეცნობა. გარდასულ ეპოქათა კულტურულ შრეებში ჩაწვდომის სურვილი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. თანამედროვე მეცნიერება, რომელიც მრავალმხრივი მეთოდოლოგიური გზით იკვლევს კაცობრიობის ისტორიას, არსებული ემპირიული მასალების ანალიზის საფუძველზე, ცდილობს წარსულში გაუჩინარებული, სხვადასხვა პერიოდში არსებული კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური მოდელების მთავარი პარამეტრების განსაზღვრას, ამავე დროს მათ ერთ მთლიანობაში წარმოაჩინას და ამ მთლიანობის ძირითადი ისტორიული მაფორმირებელი იმპულსების დადგენას. დღეს მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურ რეალობაში, თანამედროვე გეოპოლიტიკური სივრცის სიმჭიდროვის პირობებში, სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიო ისტორიის ძირითადი სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურული პლასტების კომპლექსური შესწავლა, ხოლო საზოგადოებრივი განვითარების გლობალური პროცესები და მისი კანონზომიერი ხასიათი კიდევ უფრო ღრმა მეცნიერულ-შემეცნებით შინაარს იძენს. ეს კი ისტორიული მეცნიერებების წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს და იმავე დროს მისი შესაძლებლობების ფართო გამოვლენის, ბევრი რამის გადაფასებისა და ახალი თვალთახედვის დამკვიდრების პირობებსაც ქმნის. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს, ასევე ემპირიულ მასალას, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საისტორიო წყაროების შესწავლისა და თეორიული ანალიზის საფუძველზე, ზოგადად მსოფლიო ისტორიის, ასევე საკუთრივ საქართველოს ისტორიის სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევარ-პრაქტიკოსების მომზადება, რომელთაც ექნებათ დარგის საფუძვლიანი ცოდნა და გამომუშავებული ექნებათ კონკრეტული პრობლემისადმი მეცნიერული მიდგომის უნარი.

ისტორიის სამაგისტრო პროგრამა კონკრეტული წყაროების კრიტიკული ანალიზისა და თანამედროვე საისტორიო მეცნიერების უახლესი მიღწევების საფუძველზეა წარმოდგენილი, და ამდენად, იგი მეტ-ნაკლებად იძლევა მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის გლობალური პრობლემების შესწავლის საშუალებას. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსი მთლიანად უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი უნარის გამომუშავებას, შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის სპეციალისტების მომზადებას.

მსოფლიო ისტორიის მოდულის სასწავლო დისციპლინები მაგისტრანტს საშუალებას მისცემს გაიღრმავოს თეორიული ცოდნა, დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტული ისტორიული პროცესებისა და ეპოქების მიხედვით (ძველი მსოფლიო ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია), გაეცნოს მსოფლიო ისტორიის პრობლემების მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას. **მოდულში** გათვალისწინებული საგნების დაუფლებით მაგისტრანტი შეძლებს სრულყოფილად აღიქვას კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი პროცესი ცენტრალურ მედიტერანულ სამყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში ფორმირებული უძველესი ცივილიზაციებიდან თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებამდე; თუ როგორ ხდებოდა კაცობრიობის ისტორიის ძნელადსავალ გზაზე მატერიალური და სულიერი ფასეულობების დაგროვება; სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სტრუქტურების დახვეწა-განვითარება.

საქართველოს ისტორიის მოდული. საქართველოს ისტორია არის მშობლიური ქვეყნის ისტორია, მის შესახებ არსებული მეცნიერული ცოდნის დაუფლება-ათვისება ქართული საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის განხრით მაგისტრების მომზადების საკმაოდ სოლიდური გამოცდილება დაგროვდა. აქ მაგისტრატურის სრული კურსი გაიარა და ისტორიის მაგისტრის ხარისხი მოიპოვა 30-მდე ბაკალავრმა. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მთავარი ამოცანაა, მისცეს სწავლების II საფეხურის სტუდენტებს ღრმა ცოდნა პირველ რიგში საქართველოს ისტორიაში. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით.

8. სწავლის შედეგები

მოდული I. საქართველოს ისტორია

- **დარგობრივი კომპეტენციები**

ცოდნა და გაცნობიერება - სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურს-დამთავრებულს ისტორიის დარგში საქართველოს ისტორიის მოდულით აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც საფუძველს მისცემს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის, რათა საქართველოს ისტორიის მიმართულებით შეძლოს ცალკეული პრობლემების გაცნობიერება და მოიძიოს მისი გადაჭრის გზები. პროგრამის მთავარი ამოცანაა მისცეს სტუდენტს ღრმა ცოდნა საქართველოს ისტორიაში ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. სამაგისტრო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხო (უპირატესად ინგლისური) ენის დაუფლებას. კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა ისტორიის დარგის ძირითადი მახასიათებლების, დარგის საერთო სტრუქტურისა და ქვედარგებს (საქართველოს ისტორია პერიოდების მიხედვით, საქართველოს ისტორიის წყაროები, ქართული წერილობითი კულტურა და წერილობითი მემკვიდრეობა, და ა. შ.) შორის ურთიერთკავშირის, დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიის, დარგის მთავარი პრინციპების, ისტორიის დარგში არსებული თეორიებისა და კონცეფციების, დარგში დანერგილი სიახლეების, კვლევის მეთოდებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის, ასევე სათანადო ეთიკური ნორმების შესახებ. დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში კურსდამთავრებული დაუფლებულია ზოგად ცოდნას შემდეგ საკითხებში: საქართველო საერთაშორისო არენაზე უძველესი დროიდან დღემდე, სამოხელეო წყობა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოში, საქართველოს წერილობითი კულტურა, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ურთიერთობა უძველესი დროიდან XX დღემდე, XVI-XIX ს. I ნახევრის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის პრობლემები, „ქართლის ცხოვრება“ – ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიის წყარო, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს

ისტორიის წყარო და ა. შ. მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევითი, ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ისტორიის მაგისტრს, რომელიც დაასრულებს საქართველოს ისტორიის მოდულს შეუძლია ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემის ორიგინალური გზების მოძიება; შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის საქართველოს ისტორიასა და მის ქვედარგებში გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, რაშიც მას დაეხმარება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა. მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განახორციელოს კვლევითი სამუშაო: ისტორიული ტექსტის დამუშავება, ანალიზი და ინფორმაციის სახით მიწოდება, ნებისმიერი მოვლენის ისტორიულ პროცესში გააზრება. კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ქართული და დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით ისტორიული წყაროს დამუშავების, ანალიზისა და სინთეზის უნარი, საკვლევი ტექსტებისადმი კომენტარების დართვის უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით დარგში შემოსული სიახლეებისა და მასალის დამუშავების უნარი; დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი; კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროების (საისტორიო წყაროები, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა და ა.შ) აღმოჩენისა და გამოყენების, მათი სწორად კომენტირების, მრავალმხრივი ისტორიული მასალის თანმიმდევრული ორგანიზების, კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის, ანოტირების და რედაქტირების უნარი; კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები: კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; სხვადასხვა მეცნიერული შეხედულებების აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარი.

- **ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები**

დასკვნის უნარი - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის საქართველოს ისტორიის მოდულის კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი დისკუსიების, გუნდური ვორკშოპების, არგუმენტირებული ესსეს, ასევე სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში. მას შეუძლია საქართველოს ისტორია გაიაზროს მსოფლიო ისტორიულ პროცესებთან კავშირში, ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზი, საკუთარი დაკვირვებების წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია, საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათი; სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესში მაგისტრს ჩამოყალიბებული აქვს ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებისა და აღნიშნულის საფუძველზე კრიტიკული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური ანალიზი და სინთეზი;

კომუნიკაციის უნარი - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის საქართველოს ისტორიის მოდულის კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს კომუნიკაციის უნარი, ამ უნარის განვითარებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური, სოციალური და ლინგვისტური უნარები, როგორც მშობლი-

ურ, ასევე უცხო ენაზე. კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევის საგნის დასახვა და კვლევითი სამუშაოს შესრულება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, რომლის დეტალური, არგუმენტირებული წერილობითი ანგარიში და ზეპირი პრეზენტაცია სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესძენს კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ისტორიოგრაფიულ დებატებში, რადგან კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება დისკუსიაა. მნიშვნელოვანია აკადემიური ტექსტების თხრობისა და ისტორიის დარგისათვის სპეციფიკური უნარები, რომელიც სტუდენტს ჩამოყალიბებული აქვს ცალკეული დისციპლინების შესწავლისას, პრეზენტაციების მომზადებისა და მისი განხორციელების პროცესში. მნიშვნელოვანია ისტორიის დარგში მიღებული ცნებებისა და ტერმინების ქართულ და უცხო ენებზე გადმოცემის პრაქტიკულ უნარები. კურსდამთავრებულს შეუძლია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, წერილობითი თუ სხვა სახის წყაროების კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; მას აქვს საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი; საკუთარ და უცხო ენაზე წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის ნორმების, საავტორო უფლებებისა და სტანდარტების დაცვის უნარი; ტექნოლოგიური უნარებიდან კურსდამთავრებულს შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მათი საშუალებით ისტორიის დარგში შემოსული სიახლეების, ასევე სხვა ინფორმაციის მოძიება, გამოყენება და დამუშავება; პრეზენტაციის მოწყობა და ა. შ.

სწავლის უნარი - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის საქართველოს ისტორიის მოდულის კურსდამთავრებულს აქვს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; შეუძლია საკუთარი სწავლის დონის შეფასება და შემდგომ ეტაპზე – დოქტორანტურაში სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები - სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ისტორიის მაგისტრს ჩამოყალიბებული აქვს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა; აქვს საკუთარი ქვეყნისა და სხვისი კულტურული ღირებულებების ცოდნა და პატივისცემა; კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო სფეროში არსებული ფასეულობების გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

მოდული II. მსოფლიოს ისტორია

- **დარგობრივი კომპეტენციები**

ცოდნა და გაცნობიერება - სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ისტორიის მოდულის კურსდამთავრებულს ისტორიის დარგში აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც საფუძველს მისცემს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მათი პრაქტიკული

განხორციელებისათვის, რათა მსოფლიოს ისტორიის მიმართულებით შეძლოს ცალკეული პრობლემების გაცნობიერება და მოიძიოს მისი გადაჭრის გზები. პროგრამის მთავარი ამოცანაა მისცეს სტუდენტს ღრმა ცოდნა მსოფლიო ისტორიასა და მის დარგებში. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. სამაგისტრო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხო (უპირატესად ინგლისური) ენის დაუფლებას. კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა მსოფლიო ისტორიის, როგორც ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების ძირითადი მახასიათებლების, დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიის, დარგში არსებული თეორიებისა და კონცეფციების, დარგში დანერგული სიახლეების, კვლევის მეთოდებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის, ასევე სათანადო ეთიკური ნორმების შესახებ. დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში კურსდამთავრებულს აქვს ზოგადი ცოდნა შემდეგ საკითხებში: მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო, შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, შუა საუკუნეების ევროპა-იდეოლოგია, კულტურა, განათლება, აშშ-ს ისტორია, რომის აღმოსავლური პროვინციების ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობები შუა საუკუნეებში და ა. შ. კურსდამთავრებულს ექნება კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის სპეციალიზებული ცოდნა. მიღებული ცოდნის საფუძველზე კურს-დამთავრებულს შეუძლია კვლევითი, ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მსოფლიო ისტორიის მოდულის კურსდამთავრებული ისტორიის მაგისტრს შეუძლია ახალ, მულტი-დისციპლინურ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემის ორიგინალური გზების მოძიება; შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში, რაშიც მას დაეხმარება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკა. მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განხორციელოს კვლევითი სამუშაო: ისტორიული ტექსტის დამუშავება, ანალიზი და ინფორმაციის სახით მიწოდება, ნებისმიერი მოვლენის ისტორიის პროცესში გააზრება.

კურსდამთავრებულს აქვს კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები: კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; სხვადასხვა მეცნიერული შეხედულებების აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარი.

- **ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები**

დასკვნის უნარი - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მსოფლიო ისტორიის მოდულის კურსდამთავრებულს სწავლის პროცესში გამომუშავებული აქვს არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, მას შეუძლია მსოფლიო ისტორიული პროცესების ზოგადი გააზრება, მსოფლიოს ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზი, საკუთარი დაკვირვებების წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია, საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათი; სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესში მაგისტრს ჩამოყალიბებული აქვს ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებისა და აღნიშნულის საფუძველზე კრიტიკული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის

ჩამოყალიბების უნარი; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციურ ანალიზსა და სინთეზს; თანამედროვე ისტორიული მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის სპეციალიზებული ცოდნა.

კომუნიკაციის უნარი - ისტორიის მაგისტრს მსოფლიო ისტორიის მოდულით აქვს კომუნიკაციის უნარი, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე, რათა შეძლოს მონაწილეობა მიიღოს ისტორიოგრაფიულ დებატებში; სტუდენტს სწავლის დროს შექმნილი აქვს ისტორიის დარგში მიღებული ცნებებისა და ტერმინების ქართულ და უცხო ენებზე გადმოცემის პრაქტიკული უნარები. კურსდამთავრებულს შეუძლია მსოფლიო ისტორიაში არსებული სპეციალიზირებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი; საკუთარ და უცხო ენაზე წერის უნარი; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი;

სწავლის უნარი - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მსოფლიო ისტორიის მოდულის კურსდამთავრებულს აქვს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; შეუძლია განსაზღვროს სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების აუცილებლობა.

ღირებულებები - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მსოფლიო ისტორიის მოდულის დასრულების შემდეგ ისტორიის მაგისტრს გააჩნია თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა; აქვს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურული ღირებულებების ცოდნა და პატივისცემა; კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო სფეროში არსებული ფასეულობების გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				წინაპირობა	ლექტორი
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
პროგრამის საერთო სავალდებულო კომპონენტები – 66 კრედიტი											
1.	აკადემიური წერა	ACAD M201	3	35	40	3				არ აქვს	
2.	რომაული სამყარო და საქართველო	HIST M201	6	50	100	6				არ აქვს	ასოც. პროფესორი კახაბერ ფიფია
3.	კვლევის მეთოდოლოგია	HIST M202	3	35	40	3				არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე
4.	ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო	HIST M203	6	50	100		6			არ აქვს	პროფესორი ზურაბ პაპასქირი
5.	ისტორიული ცოდნის განვითარების ძირითადი ეტაპები	HIST M204	6	50	100		6			არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე
6.	საქართველო და ევროპა XV საუკუნიდან დღემდე	HIST M205	6	50	100			6		არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ბეჟან ხორავა
7.	პროფესიული პრაქტიკა	HIST M206	6	115	35			6		I-II სემესტრის საგნები	ისტორიის დოქტორი ია ჯიჭონაია
8.	სამაგისტრო ნაშრომი	HIST M207	30	65	685				30	I-II-III სემესტრის საგნები	

პროგრამის სავალდებულო არჩევითი მოდულები – 54 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთ არჩევით მოდულს)											
I.	არჩევითი მოდული – საქართველოს ისტორია										
ა)	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები – 36 კრედიტი										
1.	საქართველო საერთაშორისო არენაზე უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით	HISTG M201	6	50	100	6				არ აქვს	პროფესორი ზურაბ პაპასქირი
2.	საქართველო საერთაშორისო არენაზე XIII-XVIII საუკუნეებში	HISTG M202	6	50	100		6			HISTG M201	ასოცირებული პროფესორი ზეჟან ხორავა
3.	საქართველო საერთაშორისო არენაზე XIX-XXI ს. დამდეგის ჩათვლით	HISTG M203	6	50	100			6		HISTG M201 HISTG M202	ასოცირებული პროფესორი ჯამბულ ანჩაბაძე
4.	„ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის წყარო ნაწილი I. უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით	HISTG M204	6	50	100	6				არ აქვს	პროფესორი ზურაბ პაპასქირი
5.	„ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის წყარო ნაწილი II. XIII- XVIII ს. დამდეგი	HISTG M205	6	50	100		6			HIST M204	ასოცირებული პროფესორი ზეჟან ხორავა
6.	სამოხელეო წყობა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოში	HISTG M206	6	50	100			6		არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე
ბ)	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები – 18 კრედიტი (სტუდენტი ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალისა და ირჩევს არჩევით კურსებს მითითებულ სემეტრებში მითითებული კრედიტები შესაბამისად)					6	3/3	3/3			
1.	ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყარო	HISTG M207	3	35	40					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ავთანდილ კილასონია
2.	საქართველო და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე	HISTG M208	6	50	100					არ აქვს	ისტორიის დოქტორი ია ჯიჭონია
3.	წერილობითი კულტურა საქართველოში და ძველი ქართული წერილობითი მემკვიდრეობა	HISTG M209	3	35	40					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე

4.	საქართველო-იტალიის ურთიერთობები. ისტორია და თანამედროვეობა	HISTG M210	3	35	40					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი დაზმირ ჯოჯუა
5.	საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პრობლემები XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის I ნახევარში	HISTG M211	3	35	40					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ჯამბულ ანჩაბაძე
6.	საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობები. ისტორია და თანამედროვეობა	HISTG M212	6	50	100					არ აქვს	პროფესორი ომარ არდაშელია
7.	ინტერკულტურული ურთიერთობები აფხაზეთში: ისტორია და თანამედროვეობა	HISTG M213	6	50	100					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე
8.	საქართველო და ოსმალეთი XV-XIX საუკუნეებში	HISTG M214	3	35	40					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ავთანდილ კილასონია
II.	არჩევითი მოდული – მსოფლიოს ისტორია										
ა)	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები – 36 კრედიტი										
1.	მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა – ძველი მსოფლიოს ისტორია	HISTW M201	6	50	100	6				არ აქვს	ასოცირებული პროფესორი კახაბერ ფიფია
2.	შუა საუკუნეების ევროპა. იდეოლოგია, კულტურა, განათლება	HISTW M202	6	50	100		6			არა აქვს	ასოცირებული პროფესორი ნარგიზა კალანდია
3.	მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა – ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია	HISTW M203	6	50	100			6		არა აქვს	თსუ სრული პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი
4.	შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია	HISTW M204	6	50	100	6				არ აქვს	ასოცირებული პროფესორი კახაბერ ფიფია
5.	პარლამენტარიზმის ისტორია	HISTW M205	6	50	100		6			არ აქვს	ასოცირებული პროფესორი ნარგიზა კალანდია
6.	ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია და კულტურა	HISTW M206	6	50	100			6		არ აქვს	ასისტენტ პროფესორი კახა კვაშილავა
ბ)	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი (სტუდენტი ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ირჩევს არჩევით					6	3/3	3/3			

კურსებს მითითებულ სემეტრებში მითითებული კრედიტები (შესაბამისად)											
1.	ძველევგიპტური რეფორმაცია	HISTW M207	6	50	100					არ აქვს	ასოც. პროფესორი ნოდარ დარსანია
2.	ანტიკური ცივილიზაცია	HISTW M208	6	50	100					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი კახაბერ ფიფია
3.	შუამდინარული ცივილიზაცია	HISTW M209	3	35	40					არ აქვს	ასოც. პროფესორი ნოდარ დარსანია
4	რომის აღმოსავლური პროვინციების ისტორია	HISTW M210	3	35	40					არ აქვს	ასოცირებული პროფესორი კახაბერ ფიფია
5	აღმოსავლეთი და სამხრეთ- აღმოსავლეთი სლავები XIX-XX საუკუნეებში	HISTW M211	3	35	40					არ აქვს	ასისტენტ-პროფესორი დოდო პერტაია
6	„ცივი ომის“ არსი, ძირითადი ფაზები, გლობალური ტენდენციები	HISTW M212	3	35	40					არ აქვს	ასისტენტ-პროფესორი დოდო პერტაია
7	ტოტალიტარული რეჟიმები XX საუკუნეში	HISTW M213	3	35	40					არ აქვს	ასისტენტ-პროფესორი კახა კვაშილავა
ს უ ლ - 120 კრედიტი						30	30	30	30		